პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 6 ივნისი, 1926 წელი.

# ტარტაროზი

№ 51 მესამე წელიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხვილფეხა „კბენარები“, რომლებიც კბენენ სახალხო სიმდიდრეს და ხელს უშლიან მის ზრდას.

## „ეკრეჟიმი“

ამ „რეჟიმით“ საჭიროა
მოკლედ ითქვას სიტყვა გრძელი,
რაღაც აზრის გადმოცემა
ამ მეთოდით იყოს ძნელი.
თვით ხელმწიფის კაბინეტში
(ეს ამბავი არის ძველი)
მოხუცებულ ერთ კაცს ვინმეს
მიაცილებს კარის მცველი
და მოხუციც დაბალის ხმით
(ეს სისუსტის იყო ბრალი)
ეუბნება ქვეყნის მპყრობელს:

— ვიცი რომ გაქვს სამართალი...
ხომ გახსოვს რომ ობლად დარჩი
გამოგზარდე როგორც შვილი
დღეს მეფე ხარ... მე მოვხუცდი,
გთხოვთ გაიღო ჩემთვის წვლილი:
მომცე თანხა და დამიტკბო
მით ცხოვრება დარჩენილი.
ჰო, უთუოდ შველა გინდა
მეფე მოხუცს ეუბნება
და გიშველი მე... ჩემს შტატში
საქმე რამე გამოჩნდება...

(მეფისათვის შტატის შექმნა
რა საძნელო რამე არი,
როცა შტატს ქმნის „უპრაგონოდ“
სულ უბრალო კომისარი.
მოხუც ხელი მოუმართეს,
საქმე გაჩნდა მისთვის ხელად
და ბრინჯაოს ერთ დიდ ძეგლსა
მიუყენეს იგი მცველად.
ყოველ დილას ჯოხით ხელში
დახედავდა ძეგლს მდუმარეს...
ჰქონდა ფულიც, მადლს უძღვნიდა
სახელმწიფოს თავმჯდომარეს;
მაგრამ ტკბილი ეს ცხოვრება
არ დასცალდა მას, აღარა;
რაღაც ორი წლის გასვლისას
სული უფალს მიაბარა.
მის ადგილას მყისვე გაჩნდა
ბრგე ვაჟკაცი ბარე ორი—
ჯოხის ნაცვლად ყმაწვილებმა
გაიჩინეს მაუზერი.
ვაჟკაცებს ხომ ცხენი უნდათ,
ცხენს: მომვლელი, თივა, ქერი...
ყველა ამას „საქმის“ შექმნა
და საქმეს კი გადამწერი.
და შეიქმნა მთელი შტატი...
ყარაულობს ძეგლს ბრინჯაოს...
საჭიროა ეს თუ არა
ამ საკითხზე არვინ დაობს...
თუმც იციან: ძეგლი მჭიდრო
რომ არას დროს წაიქცევა,
რომ მძიმეა: ქურდის ხელით
ვერა და ვერ აიწევა,
რომ არსად არ გაიქცევა,
რომ მშვიდი აქვს ყოფა-ქცევა...

სიმონ-ალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „აგარაკი“

შარშანწინდელი ამბავი უნდა გიამბოთ. დაილოცოს ის წელიწადი,—მას შემდეგ შესწყვიტა ჩემმა პატივცემულმა მეუღლემ აგარაკებზე სიარული.

—:—

— ყველა მიდის... ჩვენ დავრჩით მარტო. ჩვენი მეზობლები წავიდნენ!

თუ პატრონობა არ შეგეძლო, რად მითხოვე? ხომ ხედავ: აღარც ხორცი შემრჩა და აღარც ფერი. დღითი დღე სულ უკან-უკან მივდივარ... გუშინ წინ ავიწონე, სამ-ფუთ ნახევარი ვიყავი, დღეს ავიწონე და ორი გირვანით ნაკლები ვარ... აი, მახველებს კიდეც—და ისე მძლავრად დაახველა, რომ ფერი წაუვიდა და სკამზე დაეშვა. მე ცოტა არ იყოს, შემეშინდა. მოვარბენინე წყალი, დაუსრისე ყური. დავასხი შუბლზე, მაგრამ არ იღებს ხმას.

— კარგი, კარგი ნუ ინაზები, რას დროს ხუმრობაა. რას მატყუებ?!

— როგორ თუ გატყუებ, შე დასამიწებელო! მე გატყუებ?!—და მოულოდნელად ისეთი ლაზათიანი სილა მაჭამა, რომ სამჯერ გადავტრიალდი ყირაზე.

— გული წამივიდა, ვკვდები და ეს კიდევ იძახის: მატყუებო! ტყუილს გიჩვენებ მე შენ,—და აღგომა ველარ მოვასწარი,—წამოვიდა ჩემს თავზე რაც კი ხელში მოხვდა.

სხვა გზა არ იყო: მეც ვუჩვენე ზურგი და ხელი ავიღე შეტევაზე.

— ეს წყეული კიდევ რომ არ იძახის: წამიყვანო!

— რომ მომკლა, არ ვიტყვი, არა!

— არ იტყვი და ვაი შენს ტყავს—და ხელი დაავლო პურის საჭრელ დანას.

— კარგი, კარგი კი გაგაგზავნი,—შევსძახე შეშინებულმა.

—:—

მეორე დღესვე გავამგზავრე ჩემი მეუღლე ბორჯომში და მეზობელ ახალგაზრდა ექიმს ვთხოვე, რომ ხშირ-ხშირად ენახა. ვერ წარმოიდგენთ რა კმაყოფილი სახე მქონდა, ნაზათ გამომიწოდა ხელი და დამარიგა: „მკურით მოიქეცი, ფული დროზედ გამოგზავნე, თორემ...

— ნუ გეშინია... არხეინად იყავი... ფულს არ მოგაკლებ. მოვახერხებ... ნაწყვეტ-ნაწყვეტ წავილუღლუღე ჩემთვის და ტანზე ცივმა ოფლმა დამასხა გუშინდელ ამბის მოგონებაზე.

—:—

ცოლის მოშორებამ და ფულის საკითხმა სამსახურზე გული ამიცრუა.

შაბათობით ვესტუმრებოდი ბორჯომში ჩემს ცოლს. სახეზე ისეთივე გამხდარი იყო. ხოლო როგორც მისი წონის ქაღალდიდგან გავიგე, ორ გირვანქა ნახევარი მომატებოდა, და ეს მომატება მას მხოლოდ მუცელზე ეტყობოდა. ექიმი განუწყვეტლივ თავზე დასტრიალებდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა.

როცა ორშაბათობით თბილისში დავბრუნდებოდი, ამხანაგები და ნაცნობები ცნობის მოყვარეობით მეკითხებოდნენ:

— რამდენი მოიმატა შენმა მეუღლემ?

— ოთხი გირვანქა,—გადავაჭარბებდი ხოლმე და თავს მაღლა ავწევდი ამაყად.

— ჩემსას, პირიქით, დაუკლია ოთხი გირვანქა. ახლა აბასთუმანში მინდა გავგზავნო.

— ჩემს ცოლს კი ერთი გირვანქა მოუმატნია.

— ჩემს ცოლს ერთი გირვანქა და „ჩეტვერტი“,—ატყდებოდა წუწუნი და შურით სავსე თვალებით შემომაჭყეტდენ აქეთ-იქიდან. მე უფრო გავიჭიმებოდი და ჩუმად, მაგრამ სხვების გასაგონად წამოვიძახებდი სულმნათ ზურგიელიძის სიტყვებს: „გამხდარი ცოლის ყოლასა, სჯობს მსუქან ცოლის ყოლაო“.

—:—

გაიარა საագარაკო სეზონმა. ჩემმა ცოლმა ექვსი გირვანქა მოიმატა და საკმაოდ მუცელ გამობერილი დამიბრუნდა თბილისში.

მომღიმარი, სახე გაბრწყინებული შევყურებდი ცოლის მოცელს და გულიშ ვიკრავდი უკანასკნელ ქაღალდს ცოლის წონის შესახებ:

— ფ. და 26 გირ. ბარაქალა, დედაკაცო, ბლომად მოგიმატებია. გმადლობ შენ უფალო, რომ უქმად არ ჩამიარა ჩემი ამდენი ხნის ამაგმა.

—:—

დიდის ამბით ვიზეიმე ცოლის „გასუქება“.

გავმართე დიდებული ვახშამი, რომელიც გაიხსნა ჩემი ცოლის სადღეგრძელოთი. მე სიხარულით აღარ ვიცოდი რა მექნა. მინდოდა სახალხოდ გადამეკოცნა, მაგრამ შემრცხვა, რადგან გვერდით ექიმი იდგა.

მეორე სადღეგრძელო ექიმს ხვდა წილად, როგორც უმთავრეს მოამაგეს ჩემის ცოლის „გასუქებაში“. ექიმს ჩემი მეუღლის ხელი დაეჭირა ხელში და ნაზად უსრესდა.

— ალბად სიცხეს უსინჯავს?!—გავიფიქრე მე.

კარგად შეზარხოშებული ვიყავით, როცა შევამჩნიე, რომ სიცხეს ჩემი ცოლისათვის გვერდებში აეწია, რადგან ქქიმი იქ უფათურებდა ხელებს. ჩემს ცოლსაც ულონოდ გადაეგდო ექიმის კისერზე თავი, სახე გაწითლებოდა და ოდნავ სუნთქავდა..

— არ დავიღუპო, ავად არ გახდეს, არ დაკარგოს ის 6 გირვანქა რომელიც მოიმატა,—გამიელვა თავში და მივმართე ექიმს:

—ვგონებ უმჯობესი უნდა იყოს მოსვენება.

— დიახ, დიახ!—დამეთანხმა ექიმი და ციმ-ციმ შეარბენინა ოთახში. მე მურა ძაღლივით უკან ავედევნე.

— თქვენი ჭირიმე, კარგად მოუარეთ,—ვეხვეწებოდი ექიმს.

— ნუ გეშინიათ... ცოტა გული შეუწუხდა, მაგრამ არაფერია, ცოტა ჰაერია საჭირო და თუ უკაცრავად არ ვიქნები, გთხოვ ოთახი დასცალოთ.

მე მაშინვე გარედ გამოვედი, მხოლოდ ოთახს ველარ ვშორდებოდი. გულის კანკალით ველოდი ცოლის გამობრუნებას...

დიდხანს ისმოდა ოთახიდან რაღაც ხმაურობა... ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა. მარტო ექიმის გაურკვეველი ხმა და ჩემი ცოლის სიტყვები: „კარგი... გეყოფა“—გავიგონე.

—ა მადლობა ღმერთს, მობრუნდა,—და გულდამშვიდებით დავუბრუნდი სუფრას.

ხანი გადიოდა. ჩემი მეუღლე უაგარაკოდაც „სუქდებოდა“. მუცელი დღითი-დღე ეზრდებოდა და წონაც ემატებოდა.

— მოიმატოს! მოიმატოს!—ვამბობდი სიხარულით.

ბოლოს, როდესაც ჩემმა პატივცემულმა მეუღლემ ცამეტი გირვანქა მოიმატა,—(შემეძინა მსუქანი ბიჭუნა; როდესაც ავწონე ცამეტი გირვანქა გამოვიდა, ხოლო ჩემ მეუღლესაც ამდენივე დააკლდა,—მუცელი ისევ დაუპატარავდა.

სამი კვირის შემდეგ, დიდი ვაი-ვაგლახით დავითანხმე ჩემი მეუღლე ბავშის ნათლობაზე.

— მოვნათლოთ, მხოლოდ ლადო უნდა დავარქვა, ექიმის სახელი. ენაცვალოს დედიკო, მასავით სახელოვანი უნდა გამოვიდეს...

— კარგი! კარგი! რაც გინდა ის დაარქვი...

წავიყვანეთ „ზაგსში“

— რას არქმევთ სახელს?—იკითხა საქმის მწარმოებელმა.

— აგარაკი—დავიყვირე მე.

— ლადო—სთქვა ჩემმა მეუღლემ.

— არა, აგარაკი,—დავიყვირე და ჩავაწერინე კიდეც.

—:—

აი ამის შემდეგ იზრდება ჩემ სახლში პატარა აგარაკი. ჩემი ცოლი, როდესაც აგარაკზე რამეს იტყვის, მაშინვე „აგარაკზე“ მიუთითებ ხოლმე და ვეუბნები:

— იქ ისეთი ხალხი უნდა წავიდეს, რომელთაც აგარაკები არ გააჩნიათ. რა გვინდა ჩვენ აგარაკზე, როდესაც თვალწინ ამისთანა მშვენიერი „აგარაკი“ გვეზრდება.

ცოლიც გაჩუმდებოდა ხოლმე.

ამის შემდეგ მოვისვენე, მოისვენა ჩემმა ზურგმა, ჩემმა თავმა, მოისვენა სახლის ავეჯეულობამ და მეც უშიშრად ვყიდულობ ისეთ მაგარ ნივთებს, როგორიცაა: სამოვარი და სარკიანი შკაფი.

უბედურო ქმრებო! აგარაკის მოყვარულ ცოლიანებო! აიღეთ ჩემგან მაგალითი და გარწმუნებთ, რომ ბოლო მოეღება თქვენს წვალებას.

იბი.

# „თბილისი“

## დილა

ტრამვაის რონოდის
სავსეა ბაქანი.
კონდუქტორს ნევრს უშლის
ხელმეტი ქაქანი.
„მაწონი, ნახშირი“
ეზოების პირები...
ხმაურობს ქალაქი,
ყროყინობს ვირები
იქ თავზე თაბახით
კიტრო და კიტრები.
აქ ხმები: „ტარხუნა“...
„ბოლოკი“... „პიტნები“.
შეღუქნე „პრიკაშჩიკს“
აგზავნის ჯანდაბას.
ხრიალი გაუდის
დუქნების დარაბას.
აგერ ქალს უჭირავს
კალათი ხელშია.
ქათმები კრიახობს,
ჰკუაზე შევშლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ კი მზე მიადგა
მეტეხის გალავანს
[illegible]ები მოსდევენ
აქლემთა ქარავანს.
ქუჩაში მეხილე...
ქუჩაში მეთევზე...
რუსულად, ქართულად
გინება ღმერთებზე.
ქუჩა კვლავ ხმაურობს,
ქუჩა კვლავ ავდება
და დილის ზეიმიც
ამრიგად თავდება.

### შუადღე

სიცხე კვლავ აფრთდება,
ვით ლომი დაბმული.
ნიავი დადუმდა,
ქვას ასდის ალმური.
იქ ავტოს სისწრაფე
ქუჩებსაც ამტკიცებს.
გამვლელს და გამომვლელს
ანცხიკებს, ახველებს.
მზეს შეაქვს სიკვდილი,
თვით მაგარ ქვიშაში.
წყლები და კვასები
ისხმება ჭიქაში.
ვინც ქუჩას გაასწრო
და მით თავს უშველა,—
იქ ბაღში მწვანეზე
გორაობს სუყველა...

### სალამო

მოეიდა სალამო
ელექტროს ტოკითა...
ვიღაცამ ქალიშვილს
იქ ხელი მოჰკიდა;
მას ტანში აზმორებს
და ჩუმად აცინებს...
ქალიშვილს ჭაბუკი
ბინაზე აცილებს.
რესტორან-ბაღებში,
ვით უკვდავ ქელეხში,
შედიან ლანდები.
პორტფელით ხელებში.
იცლება სასმისი...
ტკბილ-ფიქრთა ნარევი
სიტყვები... შექება
სულ გადასარევი.
იქ ღამის გმირები
აძრობენ კარს პეტლებს;
გაუდის ხმაური
ავტოსა და ეტლებს
თავდება ცხოვრების
მესამე არია
და ხვალე დილამდე
ქალაქი მკვდარია.

**ძნელ-ოლლი.**

# „დაბნეული“

## ობსერვატორიის წინასწამეტყველების შედეგი

მზიანი დარია, რუსთაველის პროსპექტზე ორი ნაცნობი შეხვდება ერთი-მეორეს

— გამარჯობა სოლომონ, ხომ კარგად გიკითხოთ ცოლ-შვილით?

— გმადლობთ, ჩემო ტარიელ. მე როგორც მხედავ, კარგად ვარ, ხოლო ცოლ-შვილის რა მოგახსენო. დილას აქეთია სამსახურში ვარ, მაშასადამე სახლში არ ვყოფილვარ და არ ვიცი, იქნება ცოლმა რაზვოდიც გამიკეთა, არ გამიკვირდება... ეგ არაფერი... შენ როგორ-და ხარ?

— მე, ისე, შუახორცათ!

— სამსახურში იყავი შენც ხომ?

—რასაკვირველია!

— მაშ რა მოგაქვს, თუ ძმა ხარ, მაგ ჩემოდანით?

— ნივთები მიწყვია.

— რა ნივთები?



— ის, რაც შენ ტანზე გაცვია და ხელთა გაქვს. ამ სიცხეში შენ კალოშები ჩაგიცვამს, პალტოც წამოგიხურავს და პლაშჩიც ხელში გიჭირავს. არ დაგვიწყებია საწვიმარი ქოლგაც, ამავე დროს საზაფხულო ხალათ-შალვარი გაცვია.

— ამას თავისი მიზეზები აქვს, ჩემო კარგო.

— რა მიზეზები?

— რა და ის, რომ ქვეყანა გადაირია: ხან წვიმა მოდის, ხან მზეა, ხან ნიაღვარია და სხ. ასეთ პირობებში ყველაფერი უნდა ატარო.

— მეც მაგრე ვარ, ჩემო სოლომონ. მართალია მაგეები მე არ მაცვია, მაგრამ თან ვატარებ. თუ ვინიცობაა დარი შეიცვალა, იქვე გამოვიცვლი ტანისამოსს.

— მერე და ახლა ჩვენმა ობსერვატორიამ, რომ გამოიგონა ამინდის წინასწარ გამოკვლევის საშუალება, იმით რატომ არ სარგებლობ?

— როგორ თუ არ ვსარგებლობ. სწორედ ვსარგებლობ, ისევე, როგორც შენ და ამიტომ არის რომ საზამთრო, საზაფხულო, საშემოდგომო და საგაზაფხულო, აგრეთვე სადარო, საავდრო და საქარიშხალო ტანსაცმელი თან დამაქვს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ობსერვატორიის წინასწარ ცნობებში სწერია:

**ხვალ იქნება შემდეგი ამინდი:**

**ალაგ-ალაგ წვიმა, ზოგან მზიანი დარი, ზოგან ნალექი, ზოგან ანალექი, ზოგან ქარიშხალი, ზოგან სეტყვა და კორიანტელი. ზოგანაც ქარ-ბუქი, ზოგან კიდევ წყნარი დარი.**

აი, ასეთ წინასწარ ცნობებით აღჭურვილი თითონაც შესაფერად უნდა აღიჭურვო და თუ სადმე მიხვალ თან უნდა წაიღო ყველა ჩამოთვლილ ამინდების შესადარი ტანისამოსი... იმიტომ რომ ვინ იცის სად არის ეს „ზოგან-ზოგან“. ამიტომ დამაქვს მე ჩემოდანით ყველაფერი.

— მე სულელმა ყველაფერი თან ჩავიცვი.

— თუმცა, ჩემო ტარიელ, მოკლე ხანში ამ ჩვენ ტანჯვას ბოლო მოეღება. ტარტაროზს განზრახული აქვს ზეცაში გაგზავნოს ცირკულიარი, რომლის ძალით უდროო დროს გაწვიმება და გამოდარება აკრძალული ქნება და უკიდურეს შემთხვევაში ცაზე მოინდომებენ ამინდის შეცვლას, ეს საქმე უნდა აცნობონ ჩვენს ობსერვატორიას.

ალლარ-ალლარხანი.





# ლევარსი როხროხაძე

**ნაწყვეტი მოგონებიდან**

თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მას შემდეგ, რაც საავადმყოფოდან გამოვედი, ძალ-ღონე უფროდაუფრო მემატება. შეჭაღარებული წვერი თანდათან შავდება... რაშია საქმე არ ვიცი,—ასე მგონია ჯეელი ვარ...

მე მომაგონდა წარსული, როცა ვერავინ ხელს ვერ მკიდებდა.

**მე და აჭარელი მოჭიდავე**

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. გომის მთაზე ავედი. ერთი მოჭიდავე აჭარელი ჩამოსულიყო და ჩვენს ბიჭებს იწვევდა საჭიდაოთ. მართლაც ზორბა რამ იყო... ვერავინ ჰბედავდა გასვლას და ჭიდაობას. ვაჭრებს და მცხოვრებლებს ხარკი დაადვა:

— ან მოჭიდავე მიშოვნეთ, ანდა მარჩინეთო... მისი რჩენა კი ხუმრობა საქმე არ იყო...

ჰო-და ამ დროს ავედი მთაზე...

შემომეცვივნენ გარშემო და დამიწყეს:

— ლევარსი, შენი ჭირიმე, ერთადერთი კაცი შენ ხარ, რომელიც გაბედავ აჭარელთან ჭიდაობას... მოვიდა ეს ოხერი და ტყავს გვაძრობსო... შეგვიბრალე და თუ შეგიძლია მოგვაშორე მაგი აზრაგი!

— სად არის ის ვიღაც მოჭიდავეა?.. ახლავე აქ მომგვარეთ...

და რამოდენიმე ბიჭი გაიქცა აჭარელის მოსაყვანად.

—:—




იალი კი არა, შენი ყველას იგი წაისვი...

მოიყვანეს... ერთმანეთს ავხედ-დავხედეთ... სულოცვოდილო ქე არის კაი ვაჟკაცი...

— შენა ხარ მოჭიდავე?—შევეკითხე წყრომით.

— მე ვარ, ჭოვ... მერე რა გინდა.. ჩემთან ჭიდაობას ჰბედავ თუ, ჭოვ?!

— გამოდი ახლავე და მიჭიდე თორემ...

— დაიცადე, ჭოვ, ჯერ ეს გავიხადოთ და ტანზე იალი გავისო, რომ გლიანი იყოს... ისე ჭიდაობა [illegible]ლება!

— იალი კი არა, თუ გინდა შენი ყველას „იგი“ წაისვი,—მაინც მარილსავით დაგფშვნი.

ეს ვუთხარი და, ამის შემდეგ იგი აღარ გამოჩენილა გომის მთაზე... საწყალი თურმე ისე მოკვდა, რომ სული არ ჩაჰყოლია საფლავში... აცხონოს ღმერთმა...

**მე და ჯორი**

არასოდეს არ დამავიწყდება: ერთხელ მეზობელ მღვდელს ეპისკოპოზი ესტუმრა ჯორით... სადილობის დროს, ჯორს ბოსელში შინაურს ცხენებთან ერთად ჩალა დაუყარეს... თურმე აიწყვიტეს ცხენებმა და ჯორი გადაირია... როგორ გინდა, რომ გამოიყვანო იქიდან ჯორი... ეპისკოპოსმა ლოცვა და ვედრება დაიწყო... მე განზე ვდგევარ და მეცინება.



ასდევი, მამაო, აღვირი...

— ლევარსი, რამე უნდა გვიშველო... თუ შეგიძლია სახურავზე ადი, ახადე სახურავი და ჯორი ამოიყვანე— მეხვეწებოდა მასპინძელი.

— გადით თქვენ გლახებო თქვენა—და გულმოსული წავედი ბოსელისაკენ... გამოვიღე კარი, ვსტაცე ხელი ფეხზე ჯორს და გარედ გამოვათრიე... წამოვიგდე მხარეზე ბაღანასავით და დავუყვირე ეპისკოპოზს:

— აბა, მოდი, მამაო, და ლაგამი ასდევი შენს ჯორს.

ეპისკოპოსმა პირჯვარი გადიწერა და დამლოცა...

**მე და ცირკი**

ბევრი წავიდით ჩვენები ამერიკაში ცირკში გამოსასვლელად... კარგ-კარგს ბიჭებს არჩევდენ... მე ხომ პირველი არჩევანი მხვდა...

გამოდიოდენ და ჭიდაობდენ საცოდავად... არც **კვანტი** და არც **გვერდული** არ იცოდენ... ყველა დავცი... მარა ყველაზე უფრო მით გავაკვირვე ხალხი, რომ ხელში გირები დავიჭირე, ხელები გავმართე... თავზე კი ვეებერთელა ქუდი მეხურა... ქუდის კიდურებზე რამოდენიმე კაცი იჯდა... ბოლოს როცა წამოვედით ამერიკიდან სამშობლოში, მე ფეხით წამოსვლა ვამჯობინე...

— ლევარსი, გემში ჩაჯექი და ჩვენთან წამოდი, თორემ დიდი წყლებია და ვერ გახვალო—მეუბნებოდენ ჩვენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქუდის კიდურებზე რამოდენიმე კაცი იჯდა.

— მე წყლის არ მეშინია... არც ხიდი მინდა, და გასასვლე ფონს მოვნახავ, პირდაპირ ლელვათ*) გადავსჭრი და თუ თქვენ არ მიგასწროთ სახლში, მე ლევარსი როხროხაძეს ნუ დამიძახებთ—და წამოვედი...

მართლაც, ხა-ხა-ხა-ხა—მე რომ დავბრუნდი, ისინი ერთი თვის შემდეგ დაბრუნდენ... ჯეელი ვიყავი... მაგარი მქონდა მუხლი...

ზმუკი.

*) ლელვა სოფელია.



**მათხოვარი** (მღვდელს): გაიკითხე, მამაო, საწყალი.

**მღვდელი**: ახდე ცასა მაღალსა და იხილე ფრინველი ცისა, რომელნიც არცა თუ თესავს, არცა თუ მკის,— არამედ ღმერთი უგზავნის მას მუქთად მარცვალსა ღომისა, ხორბლისა და სიმინდისასა.

# სატარტაროზო

## საჯავახო

**ღია წერილი ანტონ გაგუას**

ძმაო ანტონ, წერილსა გწერ,
მარტო მე არ გიძღვნი სალამს.
ამ წერილთა მე გიგზავნი
კარტოჟნიკთა ძმობის ალამს.
მადლობა ღმერთს: მოწყობილხარ,
მოგილოცავ დუქნის გახსნას.
შენგან ელის დღეს ჭოკნარი
დაღუპვისგან თავის დახსნას.
ბანქრა და ოცდა-ერთში
მარჯვედ იყავ: მიდი ხუთი
შენ ვერავინ ვერ მოგიგებს,
წინ დაიდგი ფულის ყუთი.
კარტოჟნიკთა სახელითა
მოვახსენო უნდა ერთი:
შენ ეშმაკი რას დაგაკლებს,
როცა მაღლით გწყალობს ღმერთი.
ჰო-და ასე,—რასაც ვერ გწერ
მას უთუოდ შენ მიხვდები.

საბჭოს წევრებს ყველას სძინავს,
მათგან ნუღარ შეშინდები.
თავმჯდომარე, მილიცია
ვიცი შენ არ შეგაწუხებს
საქმეები იმათ რა აქვთ!—
თუ ნუნუა ბლომად ჰხუხეს?!
თუ მოვიდეს შენთან ფულით
სათამაშოთ „კომსომოლი“,
კარტი ხელად გაუშალე
და მიიღე როგორც ტოლი.
იცოდე, რომ მუდამ გქონდეს
არაყ-ღვინის შენ მარანი;
ვიტრინაში გამოჰკიდე
შენ ბულკები და ტარანი.
გაუფრთხილდი მხოლოდ მუშკორს
მაქეთკენ რომ იარება,
თორემ მაშინ ვერ გიშველის
ნიკო ხუცის ზიარება.

ოხტომესპირელი.

# შორაპანი

ხეჩოს თურმე დაჟანგვია
სამართებლის პირი.
ჯერ მოფხეკს და შემდგეს სახეს
მოეყრება კირი.

ხეჩო ამბობს: სამართებლის
გალესვაა ძვირი.
პუდრის ნაცვლად კირს რომ ვხმარობ,
მოვლენაა ხშირი.

—:—

კლუბის გამგე შორით უცქერს
ფეხდამტვრეულ სკამებს.
შეცდებით თქვენ თუ იფიქრებთ:
კი უშველის რამეს.

არ სცალია: მას არ აძლევს
მოსვენებას ღვინო.
ეუბნება: გადამკარი
და არ მოიწყინო.

იგიც უარს არ ეუბნება
და ყანწებით ყლაპავს
რა ვუყოთ, თუ ამ დროს კლუბი
თვის ტანჯულ სულს ლაფავს.

წყეული.

## ლანირ-ჭაგანი

**სახალხო სახლის დამთავრების გამო**

ყოფილი რეჟისორი



ოდეს ვიყავ მხნე და გამრჯე
და სცენისთვის ძგერდა გული,
მე ამ სოფელს დავმღეროდი
ვით მგოსანი, ვით ბულბული.
მაშინ, როცა აღარ გვქონდა:
არც სახლი და აღარც ფარდა,
„საშიკო“-სა მეძახოდენ,
საშა ყველას შეუყვარდა.
ახლა... ახლა... ახლა, როცა
ყველაფერი რიგზე არის—
ვილას უნდა შენი საშა,
შენი მღერა, შენი ქნარი.
ე, ცხოვრებავ! რა ხარ, ვინ ხარ?
სასიკვდილო ამდის ოფლი!—
მიკიტანო! მოიტანე,
ღვინო კიდევ ერთი ბოთლი...

ქ—ლი ბ—კი.

## ვ ა ნ ი

უნდა გავსწიო მთისაკენ,
ზენობნისკენ ვქნა პირია,—
რადგან იქ აუცილებლად
ტარასის ნახვა მჭირია.
ეს ლოთი მასწავლებელი,
სწორედ სენი და ჭირია.
გაკვეთილების გაცდენა
მისგან ხომ ერთობ ხშირია.
ძველი ხუცესი ბრძანდება
(ამას მე კი არ ვყვირია!)
ვერ მოიშორა ის ხალხმა,
თუმც ბევრჯერ შეჰკრეს პირია.
(ბევრჯერ პანღურიც ამოჰკრეს,
აბა რა გასაკვირია.
ამბობენ: ბარე ორ-სამჯერ
მას მოუნგრიეს ცხვირია).
ველარ სძლებს ისე ყოველდღე
ნუნუა თუ არ დალია.
გაკვეთილის დროს სკოლაში
სძინავს, ეხუჭვის თვალია.
ათი წელია უნდება
მას ჰრესა, სამართალია...
ტარასის გათამამება
ტარტაროზ, შენი ბრალია.

კვინტაძე.

## შ ო რ ა პ ა ნ ი

კოპერატივი გაგვიქრა—
(შორაპნის განყოფილება)
დარჩენილ ქვაბს და სასწორზე
აქვთ მევალეებს ცალობა.

ქოხ-სამკითხველოც ჰყვაოდა,—
(პოლიტ-განის ნაზოძარი)
მოუვლელობით იმასაც
გამოუხურა კარია.

სკოლაც ინგრევა თანდათან,
არვინ ყავს მიმხედავია.
ვალდებულია—უჯრედი
გამოიჩინოს თავია.

მასწავლებლები ჩამოთვლით
(ცუდ ნიშნის მსგავსად ორია):
ერთი გამგე და მეორე
მსახიობისა სწორია.

გამართვა დილა-საღამოს,
წარმოდგენები სკოლაში,
სცენის მოწყობა ხელ-დახელ
უდაბლო ვარჯიშობაში...

სკოლაში მეცადინეობს
კავალრებითა ქსენია;
დღეობებისა დასწრების
დასჩემდა რაღაც სენია.

თან გამგეს ჩასციებია:—
ატესტატი მაქვს რვა კლასის,
შენ გამგე იყო მე არა
მოსაწონია რა კაცის?!

პატარა ინტრიგანობით
იწყება ძველი დაობა;
შენ გამგე გძულდეს, რად დარჩეს
უსწავლოდ ახალთაობა?!

სასწაულია ჩვეს ნოფელს:
სერაფიონი ასთაობს;
ამბობენ:—ეკლესიისა
კარისკენ ხელი წაცდაო.

„სტაროსტაც“ იყო მორწმუნე,
თან სოფლის ასისთავია.
ტარტაროზ, სოფელს მიხედე
შენ გელის ის ბედშავია.

ვილას მივენდოთ, არ ვიცით
რით მოვიშოროთ ჭირია;
აქამდე გახსნას ვჩიოდი
ეხლა დაკეტვას ვსტირია.

მელა კუდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩ ი ბ ა თ ი

**მდივანი:**

— ამხანაგო ამბროსი,
მითხარ რა მოვიგონოთ;
სულ გვწერენ გაზეთებში;
რამე უნდა ვიღონოთ...
„ტარტაროზში“-ც გაგვჭიმეს,—
ვითომ მუდამ გვეძინოს
და ჩიბათის თემისთვის
არა რა შეგვეძინოს.
არა ეგ ულმერთონი
რამდენს რას გვავალებენ?!
ვისაც რამე აკლია
ყველას ჩვენ გვაბრალებენ.

**თავმჯდომარე:**

რა ვქნათ, ძმაო კაპიტონ,
ცუდი დროი დაგვიდგა:
ხან იქით ვრბი, ხან აქეთ
მუხლში წყალი ჩამიდგა.
რას ფიქრობენ, ნეტავი,
სამოთხეს გავაშენებთ
და ალექსას დაქცეულს
სოფელს ჩვენ ავაშენებთ!?
შარშანდელსა საბჭოზე
წრეულს უარესია.
ეს წვრილფეხა იჭერლებიც
წრეულს შემოგვესია.
საქმეს სულ გვიმატებენ,—
მოგვიკლეს ჯამაგირი;
სჯობს სადმე წავჯირითდეთ
რომ გვყავდეს თითო ვირი.

შხანკოლა.

## „გადაჭარბება“
### სად. გურჯაანი



სამშრალებელ ქაღალდის მომჭირნეობის დასაცავად კანტორის მოსამსახურეები მიწერ-მოწერის ქაღალდებს ამშრალებენ ქვის კირით შელესილ კედლებზე, რომელზედაც რჩება დედანის ასლი უკუღმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობათა მიღება

**გმირ-ოღლს.** (დიდი-ვანი) გლეხკომის სასადილოზე თქვენ ასე იწერებით:

**გლეხკომმა დიდის ამბით**
**გაგვიხსნა სასადილო**
**და გამგეთ იქ დანიშნეს**
**ჩვენი მაღალი ილო.**

და ამ ილოზე ამბობთ, რომ მას უყვარს არაყი... შენ დალოცვილო, მა რისი მოხელეა? და რაც შეეხება სასადილოში მასწავლებლების მიერ კარტის და ნარდის თამაშს, ჩვენ გეთანხმებით:

**ისე უცხონდათ სული**
**კარტ-ნარდში გამოცდილებს,**
**რომ რამეს ასწავლიან**
**ისინი გლეხის შვილებს.**



(ყოველ შემთხვევაში წერა-კითხვას თუ ვერ ასწავლიან, კარტ-ნარდის თამაშს მაინც ასწავლიან).

**ძველ თაყას.** (ჭალა) შემოქმედელებს „ტარტაროზი“ ბურთის თამაშს ვერ აუკრძალავს.

**რადგან ბურთის თამაშია ფიზ-კულტურის ერთი დარგი**
**ჯანმრთელობის შესაძენად საშუალება მეტად მარგი.**

ხოლო რაც შეეხება, იმას, რომ:

**ლობე-ყორეზე ხტომითა**
**კინაღამ ილრძნეს კისერი.**

ეგ არაფერია... ღრძნობა კი არა, თქვენმა წერილმა გოდორში გადახტომის დროს კისერი მოიტეხა, მაგრამ ამით იგი მაინც კმაყოფილია.

**ავაკას** (შორაპანი. სოფ. ჭალა-ტყე) აკმარეთ სონას თავისი თავგადასავალი, რომელიც სასჯელზე უარესია.

**„გურულს“.** (ქვენობანი) ნუ თუ არ იცით: **„რაშია საქმე“**? საქმე იმაშია, რომ:

**ქვენობნისა ცენტრში**
**ქვრივი სცხოვრობს ერთი;**
**გადარია ყმაწვილები,**
**მას გაუწყრეს ღმერთი.**

როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, თქვენც „გადაურევიხართ“, თორემ არ მოიწერდით, რომ **ყმაწვილებმა გასცალეს სიმინდი ქვრივისთვის მისატანად“... „ეს კარგიც არის... ნატურით გადახდა“.**

ასეთი სისულელე არა თუ დაიბეჭდება, არც უნდა იწერებოდეს ქაღალდზე.

**სახარიას** (ჯვარცხმა) კოწიაზე გვწერთ, რომ:

**წამკრაობას მიეჩვია,**
**ნივთები არ ემალება,**
**გადაგზავნე შენს მუცელში,**
**ნუ გექნება შებრალება...**

კოწიაც გადავგზავნე მუცელში და თქვენი წერილიც —უფსკერო გოდორში. ორივეს ერთი ხვედრი ხვდა.

**ა. დრაკონს.** (ხაშური) კარგი სურვილი გქონებიათ: გახდეთ „ტარტაროზი“-ს თანამშრომელი; ღმერთმა ნუ მოგიშალოს სურვილი. მაგრამ ტარტაროზმა თქვენს წერილში ყველა ადგილები ამოშალა, გარდა შემდეგისა:

**ეხლა მცხოვრებლებს თუ მკითხავ**
**ამხანაგს ქურდაძესაო,—**
**დათვრება, შემოგაგინებს**
**მშობელი დედი რძესაო...**
**გინებას ვინღა დაეძებს,**
**აგვიტალახა ქუჩები;**
**გზეზე მიმავალ ქალებსა**
**მთლად დაუკოცნა ტუჩები.**

და ალბად ეს იმიტომ ხდება, რომ:

**ელექტრონი არ გამოშყავთ,**
**ო, რა საშინლად ბნელაო...**
**არავინ არის,—დამტვრეულს**
**რომ მიაწოდოს შველაო...**

ალბად მარტო ქურდაძე ყოფილა დახმარების აღმომჩენი, და რაღას ერჩით, თუ კი ასე მცირე გასამჯელოთი ჰშველის დამტვრეულთ... (იქნებ ბევრი განგებ იმტვრევა).

**ია-რი-ძეს.** (ფოთი) თქვენ ტყვილად გგონიათ, თითქოს მღვდელ ერმალოზმა არ იცოდეს, რომ ღვინო კაცს ათრობს... კარგად იცის და ამიტომაც სვამს ასე ბევრს. არც გასაკვირია თუ:

**ოლარი, ჯვარი და ქუდი**
**გადაუვარდა წყალში.**



და თქვენ გვთხოვთ ეხლა, რომ წყალწაღებული ქუდის სანაცვლოდ გამოუგზავნოთ ქუდი.

(კარგი იქნებოდა, რომ თავის ქუდს და ოლარს თვითონაც გაჰყოლოდა).

**ქვესკნელს.** წერილი უფრო დაამუშავეთ და ისევ გამოგვიგზავნეთ. წერილის ბოლოში **აუცილებლად** მოაწერეთ თქვენი ნამდვილი გვარი, სახელი და მისამართი.

**გადამთიელ იმერს.** მთელი ერთი კვირის განმავლობაში კითხვის შემდეგ, ძლივს-ღა დავასრულეთ თქვენი პოემა-სატირის წაკითხვა. მონაწილე ვართ მწუხარების, მაგრამ დაბეჭდით კი ვერ დავბეჭდავთ და თუ კაცი ხარ ნურც იმედი გექნებათ.

**ბოლოზა კუდა გრძელაძეს.** (ზუგდიდი) კარგი ამბავია:

**„...დასაფლავებისას მოვიდა მიხელა მღვდელი თავისი მოწყობილობით... მიცვალებულის პატრონმა კუბოს წასალები 6—7 არშინი მიტკალი ქვრივს მისცა. ამაზე გაჯავრდა მიხელა და მოინდომა ქვრივისათვის მიტკალი წაერთმია. ატყდა ჩხუბი... ბოლოს ერთი გლეხი ეტაკა მღვდელს, წაართვა მიტკალი და გადასცა ისევ ქვრივს... გაჯავრებული მიხელა შევარდა ეკლესიაში, გამოიტანა სახარება, გაიძრო ანაფორა და განაცხადა: „დღეის შემდეგ მე თავს ვანებებ მღვდლობას“;—და წავიდა სახლში“...**

ამის შემდეგ ჩვენ რა უნდა ვუსაყვედუროთ მღვდელს. პირიქით; მივულოცავთ, რომ გონს მოსულა და კაცი გამხდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ., 68.